ქსენოფობიური ნარატივების „ახალი სიცოცხლე“ - საქართველოს აზერბაიჯანელი თემის მიმართ არსებული დისკუსიები კოვიდ-19 პანდემიის დროს

გვანცა გათენაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა გათენაძე
10.07.2020

აბსტრაქტი

წლების განმავლობაში, საქართველოს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების საზოგადოებაში ჩართულობა და მიმღებლობა განხილვისა და კამათის საგანი იყო. ამ პროცესის საფუძვლები ათწლეულების წინ წარმოიქმნა და დღემდე მოქმედებს თემის ყოველდღიურობაზე. თანასწორად აღქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს აზერბაიჯანელი თემისთვის, რომელიც, რელიგიური და კულტურული წარსულის განსხვავებების საფუძველზე ხშირად მარგინალიზებულია.

2020 წლის გაზაფხულზე, კოვიდ-19 პანდემიისას, საქართველოს აზერბაიჯანელი თემი კრიტიკისა და სიძულვილის ენის ობიექტი გახდა. ეს პროცესი, სოციალურ მედიაში(Facebook) წარიმართა, სადაც სხვადასხვა გვერდებისა და ჯგუფების პლატფორმის დახმარებით დომინანტმა ჯგუფმა საჯაროდ გამოხატა დამოკიდებულება.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს აზერბაიჯანელი თემი ხშირადაა კვლევის ინტერესის ობიექტი, მცირე ინფორმაცია არსებობს საზოგადოების მხრიდან თემის აღქმასა და მისი საზოგადოებრივი როლის შესახებ. ამ რეალობის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემული კვლევის ფოკუსს წარმოადგენდა საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანი რამდენიმე კითხვა, როგორიცაა: რა დისკუსიები(1) და დამოკიდებულებები(2) გამოვლინდა საქართველოს აზერბაიჯანელი თემის მიმართ სოციალურ ქსელებში და როგორც იქმნება თემის, როგორც სოციოლოგიური „უცხოს“ სახე(3). კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც თემის მიმართ გამოხატულ დამოკიდებულებებს და სოციალურ როლს შეისწავლიდა, შეირჩა თვისებრივი მეთოდი, კერძოდ კი ერთეული შემთხვევის შესწავლა. კონტენტ-ანალიზის პარალელურად, ასევე ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები თემის წარმომადგენელ აქტივისტებსა და ჟურნალისტებთან. კოვიდ-19 პანდემიისა და კარანტინის პერიოდში, საჭირო ინფორმაციის მისაღებად, ეს გზა ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა.

ჩატარებული კვლევა რელევანტური და მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების საკითხის შემდგომი შესწავლისთვის. კვლევის შედეგები არამხოლოდ აანალიზებს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებსა და სტერეოტიპებს, არამედ გამოყოფს იმ იდენტობის მარკერებს, რომელთა საფუძველზე

დომინანტი ჯგუფი მარგინალიზაციას უკეთებს უმცირესობის თემს. კრიტიკამ და დამოკიდებულებებმა, რომლებიც საქართველოს აზერბაიჯანელი თემის მიმართ გამოვლიდა 2020 წლის გაზაფხულზე, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თემის თვით-აღქმაზე, რაც შესაძლოა საზოგადოებრივი ჩართულობის შემდგომ პროცესებში დაბრკოლებად იქცეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს აზერბაიჯანელი თემი; ეთნიკური უმცირესობა; უცხო; სოციალური აღქმა; იდენტობის მარკერები.

Abstract

Over the course of the past years, social integration and acceptance of ethnic minority groups in Georgia has been a topic of debate and dispute. This process has been an on-going challenge, with roots originating decades ago. The struggle to be perceived as an equal in the society has been especially challenging for Azerbaijani community in Georgia, who are often ostracized for their differences in religion and cultural background.

In the spring of 2020, during the COVID-19 pandemic, Azerbaijani community became a target of criticism and hate speech from the members of the dominant ethnic group. This process unfolded predominantly on the social media (Facebook), where variety of pages and groups were used to express negativity towards the community.

Despite the fact, that Azerbaijani community is often in the center of research interest, there is still lack of data on how the group is perceived or where they stand in the scope of the society at large. Considering this, the research focused on several key questions, such as, what discussions(1) and attitudes(2) originated towards Azerbaijani community through the comments on social media, and how is community's role, as sociological Stranger constructed(3). Taking into consideration the structure of the research, which studied expressed attitudes and beliefs towards the community, as well as their social standing, qualitative approach and case-study design were found to be most useful. In coordination with

content analysis, several in-depth interviews were conducted with community activists and journalists. In the uncertain times of COVID19 pandemic and lockdown, this proved to be the most effective way to gather relevant information.

The research findings are relevant and contributory to the topic of ethnic minority groups in Georgia, due to the fact that they not only unveil the perceptions that society holds for Azerbaijani community, but also identify identity markers that society uses to differentiate between inner and outer groups. This attitude and the criticism, which was directed towards the community in the spring of 2020 leaves marks on their self-perception and hinders the process of community's engagement in civic society.

Key words: Azerbaijani community; Ethnic minority; Stranger; Social perception; Identity markers.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, სოფო ზვიადაძეს. მისი მხარდაჭერის და ენთუზიაზმის გარეშე წარმოდგენილ თემას ამჟამინდელი სახე ვერ ექნებოდა. ის არამხოლოდ გვერდში მედგა თემაზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე, არამედ მისი საკითხისადმი გულისხმიერება დამეხმარა კვლევის ინტერესის გაღვივებაში.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს აზერბაიჯანელი თემის ყველა იმ წარმომადგენელს, ვინც აქტიურად ჩაერთო კვლევაში, დამეხმარა მეპოვნა რესპონდენტები, გულახდილად მესაუბრა თემის საჭიროებებსა და გულისტკივილზე, და მათ ვინც მგულშემატკივრობდა.

მადლობას ვუხდი ჩემი ოჯახის წევრებს და მეგობრებს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის.